ინსპექტირების აქტი

ქ. თბილისი 7 მაისი 2019 წელი.

მე ქვემორე ხელის მომწერი, ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით ღვინჯილია ვადგენ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შპს „ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს 2019 წლის 7 მარტის №1/5689 განაცხადის საფუძველზე შეასრულა ქ. დუშეთის საზოგადოებრივი ცენტრის (საკ.კ. 71.51.01.389) წყალმომარაგების და წყალარინების გარე ქსელების და აღრიცხვის კვანძის სამონტაჟო და მოქმედ ქსელთან მიერთების სამუშაოები, რომელიც დასრულდა 2019 წლის 7 მაისს და გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

სამუშაოები შესრულდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით და ამავე კომისიის 2016 წლის 21 სექტემბრის №9/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში და პირობებით.

შპს „ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიერ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული განაცხადით მოთხოვნილ (წყალშემყვანი მილის დიამეტრი 32 მმ; წყალარინების მილის დიამეტრი 100 მმ.) სიმძლავრეებს.

აქტი შედგენილია ჩემს მიერ, რაზეც ხელს ვაწერ:

ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის

მტავარი სპეციალისტი: /დ. ღვინჯილია/